ინდუსტრიული ამოცანების მიმოხილვა კვლევითი პერსპექტივიდან

გიორგი რუხაია

დღესდღეისობით საქართველოში გააქტიურდა საკითხი კვლევისა და წარმოების დაახლოებაზე, თუმცა მეტწილად ისმება ბუნდოვანი შეკითხვები მკვლევარების მიმართ, რომლებიც "რა შეგიძლიათ გააკეთოთ ბიზნესისათვის" ფორმას ატარებს. მსგავსი შეკითხვები, რამდენადაც ძნელი საპასუხოა, ქმნის წარმოდგენას თითქოსდა მათემატიკური კვლევები არაა რელევანტური ინდუსტრიული კუთხით.

ეს მოხსენება მიმოიხილავს ევროპის წამყვანი კვლევითი ინსტიტუტებისა და ინდუსტრიების თანამშრომლობის რამდენიმე მაგალითს, რომლებიც ერგება ჩვენი ლაბორატორიის ზოგად მიმართულებას (მოდელირება და სიმულაცია) და ასევე კავშირშია ინსტიტუტის სხვადასხვა დეპარტამენტის საკვლევ მიმართულებებთან.